ეროვნული
ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1930 წლის ოქტომბრის 6.	№ 18 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 187. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის 1-ლი შენიშვნის შეცვლის შესახებ.
„ 188. სატრანსპორტო საშუალებათა ადგილობრივი გადასახადისაგან საპორტო სამმართველოს მოტორიანი და უმოტორო ნავჭურჭლების განთავისუფლების შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

„ 189. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის ინსპექტორის ჯამაგირის განაკვეთის შესახებ.
„ 190. ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით შრომისა და სოციალური დაზღვევის ორგანოების სტრუქტურის შეცვლის შესახებ.
„ 191. სომხეთის სსრ-ში დუზკენდის რაიონის გაუქმების შესახებ.
„ 192. ამიერკავკასიის რკინის გზების აღმოსავლეთ-უბნის მოსამსახურეების მიერ თურქული ენის სავალდებულო შესწავლის შესახებ.
„ 193. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობისაგან ამხ. ნიკოლოზ პავლეს ძე კურსელის განთავისუფლებისა და ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.
„ 194. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. ჰეიდარ ვიზიროვის დანიშვნის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

„ 195. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემომღები ამიერკავკასიის კომიტეტის მოწყობის შესახებ.
„ 196. შინამრეწველობასა და სახელოსნო რეწაობაში მყოფი შეგირდების ზღვრული ასაკის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

188. სატრანსპორტო საშუალებათა ადგილობრივი გადასახადისაგან საპორტო სამმართველოს მოტორიანი და უმოტორო ნავეურჭლების განთავისუფლების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) 57 მუხლის წესიწამებრ, ადგილობრივი საბჭოებისათვის ადგილობრივ სახსართა გასაძლიერებლად სატრანსპორტო საშუალებებზე გადასახადის დაწესებისა და გადახდევინების უფლების მინიჭების დროს, გაანთავისუფლონ ხოლმე ამ გადასახადისაგან საპორტო სამმართველოების სამსახურებრივი დანიშნულების მოტორიანი და უმოტორო ნავეურჭლები, უკეთუ ეს ნავეურჭლები გამოიყენება არა კომერციული მიზნით, არამედ მარტოოდენ პორტის საჭიროებათათვის მომსახურეობის გასაწევად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. სექტემბრის 22.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

189. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შრომის და სოციალური უზრუნველყოფის ინსპექტორის ჯამაგირის განაკვეთის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

„ა/კსფსრ-ში ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით რაიონების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. აგვისტოს 28-ის დადგენილების მე-12 მუხლის შესაცვლელად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი, მუხ. 178)—სოციალურ-კულტურული განყოფილების შედგენილობიდან გამოყოფილ იქნეს შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის ინსპექტორი და იგი უშუალოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაექვემდებაროს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს. მას დაენიშნოს ჯამაგირის შემდეგი განაკვეთები:

I-ლი კატეგორიის რაიონში		125 მან.
მე-II	„ „	140 „
მე-III	„ „	170 „

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. სექტემბრის 22.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 263 №-ში 1930 წ. სექტემბრის 29-ს.

---

190. ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით შრომისა და სოციალური დაზღვევის ორგანოების სტრუქტურის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ქალ. ტფილისსა, ბაქოს და ერევანში საქალაქო საბჭოებთან შრომის დამოუკიდებელი განყოფილებანი არ უნდა იქნეს მოწყობილი და ამ განყოფილებათა ფუნქციები უნდა დაეკისროს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს—კუთვნილებისამებრ.

2. დამოუკიდებელი საბჭოების მქონე ქალაქებში: ქუთაისსა, ფოთსა, განჯასა, ნუხასა და ლენინაკანში საქალაქო საბჭოებთან მოეწყოს, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯით, შრომის საქალაქო განყოფილებანი.

3. საეალდებულოდ იქნეს ცნობილი, რათა სოფლად შრომის საკითხებისათვის საჭირო მუშაობა დაეკისროს სასოფლო საბჭოს ერთ-ერთ წევრს.

4. მოეწყოს სოციალური დაზღვევის სალაროები ისეთ რაიონებში, სადაც დაზღვეულთა რიცხვი 3.000 კაცს აღემატება.

სხვა რაიონებში სოციალურ დაზღვევას განახორციელებს სარაიონო დამზღვევი ბიურო.

5. ადგილობრივი მ-ომგროვებელი აპარატი დაექვემდებაროს შრომის ორგანოს მისი სამყოფელი ადგილის მიხედვით უწყებულ რაიონში.

6. შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის ინსპექტორები დაექვემდებარნენ უშუალოდ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს:

ა) გააძლიეროს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების სასანიტარო-სატეხნიკო ინსპექცია რესპუბლიკების ყველა სამრეწველო საწარმოსათვის მომსახურეობის გასაწევად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ის პირნი, რომელთაც დაამთავრეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კურსები შრომის დარგში მომუშავეთა გარდაკვალიფიკაციისა და გარდამზადებისათვის, დაუყოვნებლივ წარგზავნონ რაიონებში სამუშაოდ;

გ) მოაწყონ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში მოკლევადიანი კურსები რაიონებისათვის შრომის დარგში მომუშავეთა მოსამზადებლად;

დ) გააძლიერონ ინსტრუქტირება და ხელმძღვანელობის გაწევა ადგილებზე ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით შრომის ორგანოების რეორგანიზაციის ჩატარებისათვის წარმოებულ მუშაობაში.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა ამა დადგენილებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. სექტემბრის 22.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 263 №-ში 1930 წ. სექტემბრის 29-ს.

---

191. სომხეთის სსრ-ში დუზკენდის რაიონის გაუქმების შესახებ,

„ა/კსფსრ-ში ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით რაიონების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესახებ" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. აგვისტოს 28-ის დადგენილების დასამატებლად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-16 № ი, მუხ. 178)—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით დამტკიცებულ იქნეს სომხეთის სსრ-ის მთავრობის დადგენილება დუზკენდის რაიონის გაუქმებისა და მისი ლენინაკანის საქალაქო საბჭოს საზღვრებში მოთავსების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. სექტემბრის 22.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 263 №-ში 1930 წ. სექტემბრის 29-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

192. ამაერკავკასიის რკინის გზების აღმოსავლეთ-უბნის მოსამსახურეების მიერ თურქული ენის სავალდებულო შესწავლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას გადაიტანოს ორი წლის განმავლობაში აზერბაიჯანის სსრ-ის ფარგლებში მთელი სარკინისგზო საქმისწარმოება თურქულ ენაზე.

2. მიენდოს ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას—ამა დადგენილების განსახორციელებლად: ა) მოაწყოს სათანადო კურსები იმ რკინისგზელთათვის, რომელთაც თურქული ენა არ იციან; ბ) უზრუნველჰყოს ორი წლის ვადის გასვლისას საჭირო კადრები შტატების ისეთი მომუშავეებით შესავსებად, რომელთაც თურქული ენა ეცოდინებათ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. სექტემბრის 22.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 267 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 3-ს.

---

193. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობისაგან ამხ. ნიკოლოზ პავლეს-ძე კურსელის განთავისუფლებისა და ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნეს ამხ. ნიკოლოზ პავლეს ძე კურსელი ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

2. ამხ. ნიკოლოზ პავლეს-ძე კურსელი დანიშნულ იქნეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილედ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. სექტემბრის 30.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 266 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 2-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

194. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. ჰეიდარ ვიზიროვის დანიშვნის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ამხ. ჰეიდარ ვიზიროვი დანიშნულ იქნეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. სექტემბრის 30.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 266 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 2-ს.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

№ 281.

195. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემომღები ამიერკავკასიის კომიტეტის მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მოწყობილ იქნეს საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემომღები ამიერკავკასიის კომიტეტი.

2. დამტკიცებულ იქნეს საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემომღები ამიერკავკასიის კომიტეტის ქვემომდევნო შედგენილობა: ამხანაგნი ა. ბეგზადიანი—თავმჯდ ომარე (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსაგან), ს. ფირუმოვი—მოადგილე (ა/კ. სახ. საგეგმო კომის.), ახუნდ-ზადე (ა/კ. ალკკ), გ. ყურულაშვილი (ა/კ. სმუს), მიხა ცხაკაია (ა/კ. ცენ. აღმ. კომ.), ფ. მახარაძე (საქ. სსრ სახ. კომ. საბჭო), დ. ბუნიათ-ზადე (აზერ. სსრ სახ. კომ. საბჭო), ტერ-გაბრიელიანი (სომხ. სსრ სახ. კომ. საბჭო), დეედარიანი საქ. სსრ განათლ. სახ. კომის.), აღა-სულთანოვი (აზერ. სსრ განათლ. სახ. კომის.), ეგიაზაროვი (სომხ. სსრ განათლ. სახ. კომის.), მამია ორახელაშვილი („ზარია ვოსტოკა"), იზმაილოვი (სრულ. საკავ. კომ. პარ. (ბ) ა/კ. საოლ. კომ. კულ.-განათლ. განყ.), აღამალიანი (სრულ. საკავ. კომ. პარ. (ბ) ა/კ. საოლქო კომ. მასს. აგიტ. განყ.), რაჰიმოვი (ა/კ. შრ. სახ. კ-ტი), ავისი (მთ. სამეს. კომიტ. ა/კ. რწმუნ.—ა/კ. მიწათმომქმედ. სახ. კ-ტი), აკიმოვი (ა/კ. მომხ. კოოპ. ამხ. კავშ.), კუზნეცოვი (ა/კ. პრ. კავშ. საბჭო), შავერდოვი (ა/კ. მუშ. და გლ. ინსპ.), მირკადიროოვი (ა/კ. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლქო კომ. მასს. აგიტ. განყ.), იპპო (კავ. წითელდროშ. არმია); დაევალოს კომიტეტს შეიმუშაოს და წარმოუდგინოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემომღები კომიტეტის დებულების პროექტი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმას. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. სექტემბრის 18.
ტფილისი-სასახლე.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 255 №-ში 1930 წ. სექტემბრის 21-ს.

№ 282.

196. შინამრეწველობასა და სახელოსნო რეწაობაში მყოფი შეგირდების ზღვრული ასაკის შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1930 წლის სექტემბრის 2-ს დამტკიცებული „კერძო საწარმოთა და სარეწაოთა სარეწაო გადასახადის დებულების" 1-ლი დანართის მე-3 შენიშვნის თანახმად („სსრკ ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს იზვესტია"-ს 249 №-ი 1930 წ. სექტემბრის 9-სა)—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს იმ შეგირდებისათვის, რომელნიც შინამრეწველობისა და ხელოსნობის სარეწაოების დაბეგრის დროს დაქირავებულ მუშათა შორის არ ჩაირიცხებიან, ზღვრული ასაკად—20 წელი.

2. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1930 წლის ოქტომბრის 1-დან.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგაიზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. სექტემბრის 24.
ტფილისი-სასახლე.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 260 №-ში 1930 წ. სექტემბრის 26-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 283.

197. საწარმოთა და შინამრეწველობისა და ხელოსნობის სარეწაოთათვის სარეწაო გადასახადის მტკიცე განაკვეთების დაწესების შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1930 წ. სექტემბრის 2-ს დამტკიცებული „ქერძო საწარმოთა და სარეწაოთა სარეწაო გადასახადის დებულების“ მე-5 მუხლის თანახმად („სსრკ ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს იზვესტია“-ს 249 №-ი 1930 წ. სექტემბრის 9 სა)—ა/კსფსრ სახალხო კომისაროა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი განრიგება ადგილებისა და სარეწაო გადასახადის მტკიცე განაკვეთებისა:

სარეწაო გადასახადის მტკიცე განაკვეთების განრიგება ა/კსფსრ სხვადასხვა ადგილებისათვის:

ადგილების კლასსები	გადასახადის წლიური განაკვეთები მანეთობით.					
	I კატეგ.	II კატეგ.	III კატეგ.	IV კატეგ.	V კატეგ.	VI კატეგ.
1. ქ. ტფილისი და ბაკო—რეწაობის რაიონებითა და გარეთუბნებით .	24	64	96	192	500	700
2. ქ. ბათუმი, განჯა, ქუთაისი, ლენინაკანი, სოხუმი და ერევანი . .	18	48	72	144	375	550
3. სხვა ქალაქები)	12	32	48	96	250	425
4. ყველა სხვა ადგილი	6	16	24	48	125	300

2. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1930 წ. ოქტომბრის 1-დან.

3. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისათანავე გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი დადგენილებანი:

ა) 1930 წ. მარტის 28-სა „პირადი რეწაობის დაბეგრისათვის სახელმწიფო სარეწაო გადასახადის მტკიცე განაკვეთების დაწესების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-7 №-ი, მუხ. 88);

ბ) მე-3 და მე-4 მუხლები 1930 წ. ივნისის 27-ის დადგენილებისა „შინამრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის თაობაზე გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 2-ის დადგენილების განხორციელების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 151).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. სექტემბრის 24.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 260 №-ში 1930 წ. სექტემბრის 26-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 284.

198. **ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის კოლეგია დამტკიცებულ იქნეს შემდეგი შედგენილობით: ამხანაგნი ჯუღელი (სახალხო კომისარი), ვეზიროვი (1-ლი მოადგილე), ავისი (მე-2 მოადგილე), კოლეგიის წევრნი: ამხანაგნი ალანია, ელიაშვილი, ა. ვართაპეტოვი, ხუნდაძე, ბირიუშევი და კალატოზოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. სექტემბრის 18.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 262 №-ში 1930 წ. სექტემბრის 28-ს.

№ 287.

199. **ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრთა შედგენილობაში ჩარიცხულ იქნეს ამხ. ა. სალარიძე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. სექტემბრის 28.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 267 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 3-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 288.

200. სამეურნეო წელიწადის იანვრის 1-თვის გადატანისა და საკონტროლო ციფრების გადამუშავებისათვის საჭირო დირექტივების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამეურნეო წელიწადის იანვრის 1-თვის გადატანასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნეს 1931 წლის საკონტროლო ციფრების შედგენა.

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ყველა უწყებამ და ორგანიზაციამ, ავრეთვე სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მტკიცედ უნდა იხელმძღვანელოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ დადგენილი წესი, სამუშაოთა პროგრამა, მაჩვენებელთა სისტემა, მეთოდოლოგიური დირექტივები და ვადები და არავითარი ცვლილება არ მოახდინოს აღნიშნული კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე.

3. დაეგალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გადაამუშაონ 1930 წ. რესპუბლიკანური გეგმები ისეთი ვარაუდით, რომ ეს გეგმები წარმოდგენილ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში და სახელმწიფო საგეგმო კომისიაში არა უგვიანეს ოქტომბრის 15-სა.

4. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და ამიერკავკასიის სხვა ცენტრალურმა ორგანიზაციებმა დაავალონ თავიანთ ქვემდებარე დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს წარუდგინონ მათ საკონტროლო ციფრები არა უგვიანეს ოქტომბრის 5-სა და იმავ დროულად ასლები წარმართონ ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში.

5. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედნი საკავშირო მნიშვნელობის დაწესებულებანი თავიანთ საკონტროლო ციფრებსა, ყველა თავიანთ საანგარიშო და სხვა მასალას, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოთხოვნით, წარუდგენენ მას არა უგვიანეს ოქტომბრის 15-სა.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ორი დღის ვადაზე წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა ბიუჯეტის და საფინანსო გეგმის შედგენის წესისა და ვადების შესახებ.

7. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ უნდა წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსახილველად ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის 1931 წ. საკონტროლო ციფრების პროექტი 1930 წ. ოქტომბრის 25-თვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. სექტემბრის 24.
ტფილისი.სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 265 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 1-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 289.

201. **ა/კსფსრ 1931 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტისა და ერთიანი საფინანსო გეგმის შედგენისა და განხილვის წესის და ვადების შესახებ.**

სამეურნეო წელიწადის დასაწყისის იანვრის 1-თვის გადატანასთან დაკავშირებით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაწესებულ იქნეს შემდეგი ვადები ა/კსფსრ 1931 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის და ერთიანი საფინანსო გეგმის შედგენისა და განხილვისათვის.

I. ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტისათვის.

1. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები წარადგენება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში, ხოლო ამ ბიუჯეტების ასლები — ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში, არა უგვიანეს 1930 წ. ოქტომბრის 17-სა.

2. საერთო-ფედერატიული ბიუჯეტით დასაფინანსებელი უწყებებისა და დაწესებულებების ხარჯთაღრიცხვები წარადგენება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში არა უგვიანეს 1930 წ. ოქტომბრის 12-სა.

3. ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი წარადგენს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში, ხოლო ასლს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში, არა უგვიანეს 1930 წ. ოქტომბრის 23-სა.

ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია თავის დასკვნას აღნიშნული ბიუჯეტის პროექტის შესახებ წარადგენს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ოქტომბრის 25 ს.

II. ა/კსფსრ ერთიანი საფინანსო გეგმისათვის.

1. რათა ა/კსფსრ ერთიანი საფინანსო გეგმა თავის დროზე იქნეს შედგენილი, ა/კსფსრ სათანადო უწყებებმა და ორგანიზაციებმა უნდა წარუდგინონ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ოქტომბრის 12 თვის ა/კსფსრ საფინანსო გეგმის შგდგენილობაში მოსათავსებელი საფინანსო გეგმები.

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები წარუდგენენ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ამ რესპუბლიკების ჯუმლობითის საფინანსო გეგმებს 1930 წ. ოქტომბრის 17-თვის.

3. მრეწველობისა და ელექტრო მეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკის რწმუნებული, სრულიად საკავშირო სასოფლო სამეურნეო კოოპერატიულ-საკოლმეურნეო ბანკის ამიერკავკასიის კონტორა, აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის კომუნალური ბანკები წარადგენენ თავიანთ საფინანსო საკრედიტო გეგმებს სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორაში, ხოლო ასლებს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისარიატში და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებში ოქტომბრის 12 თვის. სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის კონტორა შედგენს ა/კსფსრ ჯუმლობითს საკრედიტო გეგმას და წარადგენს მას ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში 1930 წლის ოქტომბრის 17-თვის.

4. ა/კსფსრ ტერიტორიზე მომქმედი საერთო-საკავშირო უწყებები, დაწესებულებები და ორგანიზაციები თავიანთ საფინანსო გეგმებს წარადგენენ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში 1930 წ. ოქტომბრის 12-თვის.

5. ა/კსფსრ ერთიანი საფინანსო გეგმის პროექტს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი წარუდგენს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას 1930 წ. ოქტომბრის 23-თვის. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია თავის დასკვნას ერთიანი საფინანსო გეგმის პროექტის შესახებ წარადგენს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში — ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრებთან ერთად — 1930 წ. ოქტომბრის 25-თვის.

III. ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი და ა/კსფსრ ერთიანი საფინანსო გეგმა შეიდგინება და განიხილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 19-ის დადგენილების შესაბამისად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-12 № ი, მუხ. 130 და 136).

IV. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და საფინანსო გეგმების შედგენისა და განხილვის წესი და ვადები განსაზღვრება აღნიშნული რესპუბლიკების კანონმდებლობით ამა დადგენილების საფუძველზე.

V. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**
ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. სექტემბრის 24.
ტფილისი-სასახლე.

№ 290.

202. შემოდგომის თესვის კამპანიის სამზადისის მიმდინარეობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. აღინიშნოს, რომ მიუხედავად საშემოდგომო პურეულის თესვის დაწყებისა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკების ზოგიერთ რაიონებში და სრულიად შეზღუდული ვადებისა ამ თესვის საყოველთაოდ გაშლისათვის, აქამდე სამომზადებლო პრაქტიკული ღონისძიებანი თესვისათვის ადგილებზე ხორციელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება შეუწყნარებელი მძიმე ტემპით და ძირითად ღონისძიებათა აღსრულებას ჩაფუშვის საფრთხე მოელის (სექტემბრის 20-თვის ა/კსფსრ საერთო გეგმიდან: თესლი გაწმენდილია—2,4%, თესლი დაწამლულია—1,1%, დაკონტრაქტებულია ნათესი—29,3% და სხვ.).

ასეთი მდგომარეობა შეიქმნა უმთავრესად იმიტომ, რომ საშემოდგომო თესვის კამპანიის ამოცანები სათანადოდ შეფასებული არ იყო რესპუბლიკანური, სარაიონო და სასოფლო საბჭოთა და საკოლმეურნეო-კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ.

ამ ორგანიზაციებმა არ მოახდინეს სოფლის კოლმეურნეთა, მოჯამაგირეთა, ღარიბთა და საშუალო გლეხთა მასსებისა და აგრეთვე სოფლის საზოგადოებრიობის მობილიზაცია თესვის კამპანიის პრაქტიკულ ღონისძიებათა გარშემო და ვერ მოახერხეს ეს კამპანია დაეკავშირებინათ საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომ განმტკიცებისათვის; აგრეთვე არაუბრუნველჰყვეს ქონებულ ძალთა და სახსართა თავის დროზე და სავსებით გამოყენება.

II. ამისდამიხედვით და რადგანაც აუცილებლად შესრულებულ უნდა იქნეს ყველა დავალება, რაც კი საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის არის საჭირო:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს საშემოდგომო თესვის კამპანიის სამზადისი დაუყოვნებლივ გადაიტანონ დამკვრელ ტემპებზე და სრულიად მოსპონ თესვის სამზადისის მსვლელობასა და გაშლის სფეროში ყველა ელემენტი საქმის თვითდენისა, და სარაიონონ და სასოფლო ორგანოების ბიუროკრატიული გულგრილობისა კამპანიის ამოცანებისადმი.

2. რადგანაც ადგილებზე ნათესების კონტრაქტაცია სრულიად არადამაკმაყოფილებლად ვითარდება, ამიერკავკასიის სასოფლო სამეურნეო კორპორატიულ ამხანაგობათა კავშირმა, სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის რესპუბლიკანურმა სისტემებმა, სარაიონონ აღმასრულებელმა კომიტეტებმა და სასოფლო საბჭოებმა ნამდვილი გადამწყვეტი ღონისძიებანი უნდა მიიღონ ნათესების ფართო კონტრაქტაციის ჩატარებისათვის ბუდობითი მეთოდით, მთელი საადგილმამულო საზოგადოებების კონტრაქტაციით მოსაცავად, რაც გააძლიერებს გლეხთა ფართო მასსების საწარმოო კოოპერირებას და ხელს შეუწყობს სამხარეო გეგმის სავსებით შესრულებას; ამასთანავე, კონტრაქტაცია აუცილებლად უნდა დაეკავშიროს მანქანებით და თესლით მომარაგების საქმეს და განხორციელებულ იქნეს უმარტივესი აგროღონისძიებანი—ამ ღონისძიებათა ხელშეკრულობებში შეტანით.

3. უნდა აღინიშნოს, რომ ა/კსფსრ-ში არსებული სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მეტისმეტად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და არაევითარი გარანტია არ არის, რომ ეს სადგურები შეასრულებენ მათთვის დაკისრებულ პასუხსაგებ ამოცანებს; ამის გამო წინადადება მიეცეს ტრაქტორცენტრის ამიერკავკასიის განყოფილებას გააძლიერის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა და სავსებით შეასრულებინოს მათ საშემოდგომო თესვის კამპანიის გეგმები.

4. წინადადება მიეცეს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ-საკოლმეურნეო ბანკის ამიერკავკასიის კონტორას შეამოწმოს, მიღწეულია თუ არა დაკრედიტების გეგმა რაიონებამდე, და უზრუნველჰყოს დაუყოვნებელი გაცემა კრედიტებისა საშემოდგომო თესვის კამპანიის პრაქტიკულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

5. წინადადება მიეცეს საადგილმამულო და საკოლმეურნეო-კოოპერატიულ ორგანოებს:

ა) მოაწყონ თესლმშენდავი ქარავნებისა და ცალკეული მანქანების მუშაობა დღე და ღამეში 20 საათს—საქმეში ადგილობრივი კომკავშირისა და პიონერების ჩაბმით;

ბ) დაამთავრონ თესლის მშრალი დაწამლვა არა უგვიანეს, ვიდრე ერთი კვირით ადრე თესვის დაწყებამდე;

გ) ხელუხლებელი სადამზღვევო სათესლე ფონდების შეგროვების დროს მტკიცედ დაიცვან კლასობრივი პრინციპი; სადამზღვევო სათესლე ფონდების შეგროვების გეგმა მიაწვდინონ ცალკეულ კომლამდე—თესლის სასოფლო ბელღებში ჩაბარების ვადისა და თესლის თვისების აღნიშვნით;

დ) მოაწყონ მასსიური მასშტაბით სოფლად მუშათა სარემონტო ბრიგადების გზავნა და შემოიღონ კერძო სამეგდლოების კონტრაქტაციის პრაქტიკა, რისთვისაც სარემონტოდ გამოჰყონ საჭირო რაოდენობის ლითონი და ნახშირი;

ე) უზრუნველჰყონ სათესი მანქანების მაქსიმალური გამოყენება და მათი შეუწყვეტელი მუშაობა 20 საათის განმავლობაში დღე-და-ღამე.

6. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს და ამიერკავკასიის სას.-სამ. კოოპ. ამხანაგობათა კავშირს, აგრეთვე სათანადო რესპუბლიკაურ ორგანიზაციებს—დაამყარონ სისტემატიური კონტროლი და მუდმივი ხელმძღვანელობა ადგილებზე საშემოდგომო თესვის კამპანიის პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 269 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 5-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.
მთავლ. № 2245. ტირაჟი 1.400